პოლ ვან 24 თებერვალი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-0119297867**
თარიღი: **24/10/2019**
პინი: **7887**

ადრესატი: შპს მ.დ.კ.+
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400192689
მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, სუვოროვის ქ., №30

გადააამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/0119235874-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, ვარკეთილის **III** მასივი, ზემო პლატო, კორპ. N20-ის მიმდებარედ (საკ. კოდი N01.19.20.005.070) წლის N3879740 (AR1581401) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

სართულშუა გადახურვის ფილებში, „A^1-B“ მონაკვეთში ფიქსირდება მცირე ზომის ღიობები.
±0.000 ნიშნულზე: „B-C“ მონაკვეთში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. ამავე მონაკვეთში, „2“ ღერძზე არსებული კედელი მთლიანად მონოლითურია, ხოლო „B“ ღერძთან ფიქსირდება ღიობი. „1-2“ მონაკვეთში, „F“ ღერძზე არსებული კედელი, ბლოკის ნაცვლად ნაწილობრივ მონოლითურია. „2“ და „C“ ღერძების კვეთასთან გაზრდილია კოლონის გაბარიტი. „C“ ღერძზე, „1-2“ მონაკვეთში ნაწილობრივ გაზრდილია მონოლითური კედლის გაბარიტი.
„3-1“ ფასადი: +3,15 ნიშნულის ზემოთ, „2-1“ მონაკვეთში შეცვლილია მონოლითური კედლებისა და ღიობების გაბარიტი.

"A-F" ფასადი: ±0.000 ნიშნულზე, „D-E^1“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის ვიზუალი.
ჭრილი 1-1: „D“ ღერძთან გაუქმებულია რიგელები.
-2,50 ნიშნულზე ვერ მოხერხდა ფართის დათვალიერება.
დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-092

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი